<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო და მიზანი

1. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვის ორგანიზებისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის წესს.

2. ამ კანონის მიზანია სამხედრო ძალების რეზერვის მართვის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, სამობილიზაციო რესურსის (რეზერვისტები) ოპტიმალურად გამოყენება, რეზერვისტების მომზადების და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა სამხედრო ძალებისათვის კანონით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებაში.

მუხლი 2. სამხედრო ძალების რეზერვის დანიშნულება

სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება სამხედრო ძალების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად.

მუხლი 3. სამხედრო სარეზერვის სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დოკუმენტები

რეზერვის სისტემის ფუნქციონირება ხორციელდება ეროვნული თავდაცვის გეგმის, სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის, ამ კანონის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 4. სამხედრო სარეზერვო სამსახურის სახეები

1.სამხედრო სარეზერვო სამსახური არის ორი სახის:

ა) აქტიური სარეზერვო სამსახური (აქტიური რეზერვი);

ბ) სამობილიზაციო სარეზერვო სამსახური (სამობილიზაციო რეზერვი).

2. აქტიური რეზერვი შედგება:

ა) შეიარაღებული ძალების რეზერვისგან;

ბ) ტერიტორიული რეზერვისგან;

გ) სპეციალისტთა რეზერვისგან.

მუხლი 5. სამხედრო სარეზერვო სამსახურში მყოფი პირის ასაკი

სამხედრო სარეზერვო სამსახურში მყოფი პირის ასაკი განისაზღვრება:

ა) შეიარაღებული ძალების რეზერვში - 50 წლამდე;

ბ) ტერიტორიულ რეზერვში - 55 წლამდე;

გ) სპეციალისტების რეზერვში - 65 წლამდე;

დ) სამობილიზაციო რეზერვში - 60 წლამდე.

თავი II. აქტიური სარეზერვო სამსახური

მუხლი 6. აქტიური სარეზერვო სამსახურის საერთო პირობები

1. აქტიური სარეზერვო სამსახური არის ნებაყოფილობითი.

2. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთან (აქტიური რეზერვისტი) ფორმდება კონტრაქტი.

3. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ პირი ირიცხება აქტიურ რეზერვში და ითვლება სამხედრო სამსახურში გაწვეულად. იგი ვალდებულია დადგენილი წესით გაიაროს სპეციალური მომზადება, გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდეს მითითებულ დროს და ადგილას და შეასრულოს კონტრაქტით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები.

4. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირების აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი (შემდგომ - გენერალური შტაბი), სამხედრო ძალების მოსამსახურეთა აღრიცხვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

5. პირი აქტიურ რეზერვში ირიცხება საკონტრაქტო სამსახურის რიგითის სამხედრო წოდებით (თუ არ აქვს სამხედრო წოდება) ან უკვე მინიჭებული სამხედრო წოდებით.

6. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მიიღება პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კატეგორიისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აქტიურ რეზერვში მისაღებ პირთა შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ნორმატიული აქტით.

7. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღები პირების რაოდენობას, ეროვნული თავდაცვის და სამობილიზაციო გეგმების გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

8. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მყოფი პირების გამოძახებას უზრუნველყოფს ის ქვედანაყოფი, რომელშიც ირიცხება აქტიური რეზერვისტი. გამოძახება შესაძლებელია ტექნიკური ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მყოფი პირების გამოძახების წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

9. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობები, კონტრაქტის ვადა, შრომის ანაზღაურების პირობები, აგრეთვე კონტრაქტის არასაპატიო მიზეზით ვადამდე შეწყვეტისას პასუხისმგებლობის საკითხები განისაზღვრება კონტრაქტით, რომლის ფორმას ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

10. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს წოდებრივი სარგოს 20%-ს, ხოლო გამოძახების და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში - შრომის ანაზღაურების სრულ ოდენობას. შრომის ანაზღაურების ხარჯები ფინანსდება სამინისტროს ასიგნებებიდან.

11. აქტიურ რეზერვში გამოძახების და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს, გარდა საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე საგანგებო სიტუაციისას.

მუხლი 7. შეიარაღებული ძალების რეზერვი

1. შეიარაღებული ძალების რეზერვი იქმნება სამხედრო ძალების შემადგენლობაში რეზერვისტის დაუყოვნებლივ ჩართვის, მაღალი საბრძოლო მომზადების და საბრძოლო მზადყოფნის, შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გაძლიერების და მხარდაჭერის მიზნით.

2. შეიარაღებული ძალების რეზერვში მიიღება საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურიდან, აგრეთვე სამართალდამცავი სისტემის/აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემის საბრძოლო ქვედანაყოფიდან დათხოვნილი პირი.

მუხლი 8. ტერიტორიული რეზერვი

1. ტერიტორიული რეზერვი იქმნება მცირე სამობილიზაციო დროში შეიარაღებული ძალების დამატებითი საბრძოლო მხარდაჭერის და საბრძოლო უზრუნველყოფის, შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი ზრდის და ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების მიზნით.

2. ტერიტორიული რეზერვი შედის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის (შემდგომში - ეროვნული გვარდია) შემადგელობაში და ორგანიზებულია ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებში, რომლებიც თავის მხრივ, შედგება სამანევრო ელემენტებისგან, აგრეთვე დასახული ამოცანებისა და გეოგრაფიულ არეალს მორგებული ტერიტორიული რაზმებისგან.

3. ტერიტორიული რეზერვი კომპლექტდება შესაბამის მუნიციპალიტეტებში (თვითმმართველ ქალაქებში) რეგისტრირებული პირებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. პირს, რომელსაც კანონმდებლობის მიხედვით გადავადებული აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური და მისი ასაკი არ აღემატება 22 წელს, უფლება აქვს იმსახუროს ტერიტორიულ რეზერვში. ერთი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მას სავალდებულო სამხედრო სამსახური ჩაეთვლება მოხდილად. კონტრაქტის არასაპატიო მიზეზით ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აღნიშნულ პირს არ უნარჩუნდება სარეზერვო სამსახურში მიღებული წოდება.

მუხლი 9. სპეციალისტთა რეზერვი

1. სამხედრო ძალების სპეციფიკური მოთხოვნებისა და ამოცანების გადასაჭრელად შესაბამისი სამოქალაქო სპეციალობის მქონე პირთაგან იქმნება სპეციალისტთა რეზერვი.

2. სამხედრო ძალების საჭიროებისათვის სამოქალაქო სპეციალობათა ნუსხას, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის წარდგინებით, ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

3. სპეციალისტთა რეზერვში შეიძლება მიღებულ იქნეს შესაბამისი სპეციალობის მქონე მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

თავი III. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახური

მუხლი 10. სამობილიზაციო რეზერვის დაკომპლექტება

1. სამობილიზაციო რეზერვის ძირითადი დანიშნულებაა სამხედრო ძალების გაძლიერება, დანაკარგების შევსება.

2. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვას ექვემდებარება პირი, რომელიც:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დათხოვნილია რეზერვში და არ ირიცხება აქტიურ რეზერვში;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე სარგებლობს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლებით ან გაწვევის გადავადების უფლებით და შეუსრულდა 27 წელი ან აღნიშნული ასაკის მიღწევამდე გამოთქვა

სურვილი ნებაყოფილობით ჩაირიცხოს სამობილიზაციო რეზერვში, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. პირი, რომელიც სინდისის, აღმსარებლობის ან/და რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხვაზე, ჩაირიცხება „არასამხედრო, ალტერნატიური შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეზერვში.

4. 60 წელს გადაცილებული პირი, მისი სურვილის შემთხვევაში შეიძლება დარჩეს ან ჩაირიცხოს სამობილიზაციო რეზერვში.

5. სამობილიზაციო რეზერვის დაკომპლექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები.

მუხლი 11. სამობილიზაციო რეზერვის მართვის სისტემა

1. სამობილიზაციო რეზერვის მართვის სისტემა მოიცავს:

ა) სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს, რაც გაზრდის სამობილიზაციო რეზერვისტების ოპტიმალური გადანაწილება-გამოყენების, ასევე ქვედანაყოფების გაძლიერების და დანაკარგების უწყვეტი შევსების შესაძლებლობებს;

ბ) „არასამხედრო, ალტერნატიური შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეზერვში ჩარიცხულ პირთა აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს.

2. სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კატეგორიზაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით, რომელსაც მართავს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო).

3. გამოძახების შემდეგ სამობილიზაციო რეზერვის მართვაზე პასუხისმგებელია ეროვნული გვარდია.

მუხლი 12. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა კატეგორიებად დაყოფა

1. სამობილიზაციო რეზერვის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ეროვნული გვარდია, მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა შესაბამის კატეგორიებად დაყოფას მათი ადგილმდებარეობის, განათლების, პროფესიის, სპეციალობის ან/და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ნაწილებზე მათ წინასწარ მიწერას.

2. სამობილიზაციო რეზერვში გაწვევის მიზნებისთვის, გაწვევას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო შერჩევის კრიტერიუმები - მინისტრის ნორმატიული აქტით.

მუხლი 13. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევა

1. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა სამობილიზაციო სამხედრო სამსახურში გაწვევა ხდება:

ა) საომარი მდგომარეობის დროს;

ბ) საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის დროს;

გ) სამობილიზაციო მზადყოფნის შემოწმების ან/და რეზერვისტების მომზადების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და განსაზღვრავს გაწვევის ვადას;

ბ) „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი. გაწვევის ვადა კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს.

3. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში გაწვევა ხორციელდება მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული კრიტერიუმების და რაოდენობის შესაბამისად.

4. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლის ადგილი განისაზღვრება გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული გეგმით, რომელსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მინისტრი.

5. სამინისტრო უფლებამოსილია სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხული პირი მიიყვანოს შემკრები პუნქტიდან მიმღებ პუნქტში, თუ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (შემდგომში - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახური) ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ფუნქციის დროულად განხორციელებას.

მუხლი 14. სამობილიზაციო რეზერვში გამოძახებული პირის უფლებამოსილება

1. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირს გამოძახებისას უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მისი გაწვევის მიზნის, სარეზერვო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების ან მისი გადავადების, აგრეთვე სარეზერვო სამხედრო სამსახურში გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ.

2. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში გამოძახებული პირი ვალდებულია:

ა) შეტყობინების მიღებისას გამოცხადდეს შემკრებ პუნქტში მითითებულ დროსა და ადგილას;

ბ) შემკრებ პუნქტში გამოცხადების შემდეგ, შეასრულოს მუნიციპალიტეტის ან/და სამინისტროს უფლებამოსილი პირის მითითებები.

თავი IV. რეზერვისტების მომზადება და რეზერვისტის მიერ სამხედრო ფიცის დადება

მუხლი 15. რეზერვისტების მომზადება

1. რეზერვისტების მომზადების მიზანია, სასწავლო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ასევე ცოდნისა და უნარ-ჩვევების გეგმაზომიერი დანერგვის გზით:

ა) სამხედრო ძალებისათვის გაწვრთნილი, შესაბამისი სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობებით მომზადებული მაღალპროფესიული რეზერვის ჩამოყალიბება;

ბ) რეზერვის სამეთაურო რგოლის - ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის დაკომპლექტება, მათი აქტიური მომზადება და გადამზადება;

გ) რეზერვისტების მაღალი ინდივიდუალური მომზადების მიღწევა.

2. რეზერვისტების მომზადება ხდება სამხედრო შეკრების დროს, როდესაც რეზერვისტი გადის მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ სპეციალური მომზადების პროგრამას.

3. რეზერვისტების მომზადების დროს სათანადო ყურადღება ეთმობა რეზერვისტის ფიზიკური შესაძლებლობებისა და ფსიქოლოგიური დატვირთვის ატანის უნარის გამომუშავებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა დასახული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

მუხლი 16. რეზერვისტების მომზადებაზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფები

სამხედრო სარეზერვო სამსახურისა და რეგულარული სამხედრო ძალების საბრძოლო უნარების თავსებადობის მიზნით, აქტიური რეზერვისტების მომზადებას უზრუნველყოფენ საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაბამისი ქვედანაყოფები, ხოლო სამობილიზაციო რეზერვისტებისას - ეროვნული გვარდია.

მუხლი 17. რეზერვისტის მიერ სამხედრო ფიცის დადება

1. რეზერვში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე, სამხედრო ფიცს დებს სამხედრო შეკრების გავლის დროს, თუ მას დადებული არა აქვს სამხედრო ფიცი.

2. საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი ფიცის ნაცვლად იღებს დადგენილ წერილობით ვალდებულებას. წერილობითი ვალდებულების ტექსტს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

თავი V. მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებები

მუხლი 18. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურის მიერ სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვა

სამინისტროს ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვას, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით, ახორციელებენ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურები.

მუხლი 19. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურების მიერ სამობილიზაციო რეზერვისტების გამოძახება

1. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირს გამოიძახებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახური კანონპროექტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. სარეზერვო სამსახურის მიზნების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახური უზრუნველყოფს სამობილიზაციო რეზერვისტთა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოძახებას და შემკრები პუნქტიდან მიმღებ პუნქტში მიყვანას.

3. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილმა სამსახურებმა შესაძლებელია ტექნიკური ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით შემკრებ პუნქტში გამოიძახოს სამობილიზაციო რეზერვისტი. ასეთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილმა სამსახურებმა ხელი უნდა შეუწყოს ამ პუნქტის შესაბამისად გამოძახებულ პირს დამსაქმებლისათვის სამსახურში საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინებაში.

4. ამ მუხლის შესაბამისად გამოძახებული პირი ითვლება სამობილიზაციო რეზერვში გაწვეულად გამოძახების მომენტიდან.

მუხლი 20. სამობილიზაციო რეზერვში გასაწვევი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება

სამობილიზაციო რეზერვში გაწვეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება (გადამოწმება) ხდება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ სამსახურში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ან/და რეზერვისტის გამოძახების შემდეგ სამხედრო-სამედიცინო შემოწმების დროს, რომელიც ტარდება წვევამდელისათვის „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 21. სამობილიზაციო კომისიის გადაწყვეტილება

1. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისგან გათავისუფლების ან გადავადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის სამობილიზაციო კომისია, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის სამობილიზაციო კომისია.

2. სამობილიზაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) კომისიის თავმჯდომარე - მუნიციპალიტეტის მერი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონში - შესაბამისი რაიონის გამგებელი;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი;

გ) კომისიის წევრი - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურის მოსამსახურე (მოსამსახურეები), რომელთა შემადგენლობა და რაოდენობა განისაზღვრება მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

დ) კომისიის მდივანი - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურის მოსამსახურე.

3. სამობილიზაციო კომისია გამოძახებულ პირთან დაკავშირებით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისგან გათავისუფლების და სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ;

ბ) სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გადავადების შესახებ;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებზე უარის თქმის შესახებ.

4. სამობილიზაციო კომისიის შექმნის და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“.

5. სამობილიზაციო რეზერვში გამოძახება ან/და სამობილიზაციო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. პირის სამობილიზაციო რეზერვში გამოძახების ან/და სამობილიზაციო კომისიის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული აქტების მოქმედებას.

მუხლი 22. მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებები

1. ამ კანონით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებები არის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებები.

2. ამ კანონით მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო.

თავი VI. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისგან განთავისუფლება და სამობილიზაციო

სარეზერვო სამსახურის გავლის გადავადება

მუხლი 23. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისგან განთავისუფლება

სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისგან თავისუფლდება:

ა) ქალი, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა;

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი;

გ) 60 წლის ასაკს მიღწეული პირი.

მუხლი 24. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლის გადავადება

1. პირს სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლა გადაუვადდება:

ა) თუ მის კმაყოფაზეა ოჯახის (მშობელი, მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, გერი და მასთან მუდმივად მცხოვრები სხვა პირი) შრომისუუნარო წევრი ან არასრუწლოვანი პირი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არ ჰყავს სხვა კანონიერი წარმომადგენელი ან კანონით გათვალისწინებული სხვა პირი, რომელსაც ევალება და შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა“;

ბ) თუ იგი გაწვევის დღისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატად, მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად, შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე;

გ) თუ ამას მოითხოვს მისი საქმიანობის სპეციფიკა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მოწეული მოსავლის აღებასთან, იმ შემთხვევაში თუ იგი წარმოადგენს ოჯახის ერთადერთ სრულწლოვან და შრომისუნარიან წევრს;

დ) პირს, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისთვის დროებით უვარგისად არის ცნობილი;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემის მოსამსახურეს, აგრეთვე, პირს, რომელიც იმყოფება სპეციალურ აღრიცხვაზე;

ვ) მოსამართლეს და პროკურორს;

ზ) მობილიზაციის გამოცხადებამდე საზღვარგარეთ მყოფ პირს;

თ) დიპლომატიური თანამდებობის პირს;

ი) რელიგიური ორგანიზაციების სასულიერო პირს, რომელიც ეწევა მღვდელთმსახურებას;

კ) სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს და პოლიტიკურ თანამდებობის პირს;

ლ) საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ პირს;

მ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მოსამსახურეს, რომელსაც უშუალოდ უწევს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებებში მონაწილეობა;

ნ) მსჯავრდებულ პირს, რომელიც იხდის სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში;

ო) დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირს, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა;

პ) საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ, ტერორიზმის, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირს;

ჟ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირს - სამი წლის ვადით;

რ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

2. კერძო და საჯარო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს იმ კერძო და საჯარო დაწესებულებებს, ასევე ამ დაწესებულებებში იმ პროფესიების/თანამდებობების ნუსხას და მათ ოდენობას, სადაც დასაქმებულ პირს გადაუვადდება სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები უზრუნველყოფენ ამ კანონით გათვალისწინებულ ელექტრონული მართვის სისტემაში მათი პერსონალის (დასაქმებული პირების) შესახებ მონაცემების შეტანას ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულ პერსონალს ელექტრონული მართვის სისტემაში ასახვის შემდგომ გადაუვადდება სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლა.

4. პირს სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლა გადაუვადდება იმ შემთხვევაში თუ ამ კანონის 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები წარმოიქმნა სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში.

თავი VII. სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირის მიერ სამსახურის გავლა და სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 25. სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირთა სოციალური დაცვა

1. რეზერვისტი, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში სარგებლობს სამხედრო მოსამსახურისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით.

2. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდად (შრომის სტაჟი) ითვლება:

ა) აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - კონტრაქტით გასაზღვრული პერიოდი;

ბ) სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შემკრებ პუნქტში გამოცხადებიდან სარეზერვო სამსახურის დასრულებამდე პერიოდი.

3. სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირს სამხედრო სამსახურის წელთა ნამსახურობაში ეთვლება:

ა) აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შესაბამის სამხედრო ქვედანაყოფში ყოფნის პერიოდი;

ბ) სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - სამხდრო სარეზევო სამსახურის გავლის პერიოდი.

4. სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოძახების პერიოდში რეზერვისტს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ხელფასი, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ამასთანავე, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს რეზერვისტთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დამსაქმებლის შეუფერხებელი საქმიანობა.

თავი VIII. პასუხისმგებლობა სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდებისათვის

მუხლი 26. პასუხისმგებლობა სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდებისათვის

სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირს, რომელიც გამოძახების შესახებ შეტყობინების მიღებისას მასში მითითებულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ან სხვაგვარად აარიდებს თავს სამხედრო სარეზერვო სამსახურს, დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საპატიო მიზეზად, საამისო დოკუმენტების საფუძველზე, მიიჩნევა ამ პირის ავადმყოფობა ან თუ მის კმაყოფაზეა ოჯახის (მშობელი, მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, გერი და მასთან მუდმივად მცხოვრები სხვა პირი) შრომისუუნარო წევრი ან არასრუწლოვანი პირი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არ ჰყავს სხვა კანონიერი

წარმომადგენელი ან კანონით გათვალისწინებული სხვა პირი, რომელსაც ევალება და შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა ან ახლო ნათესავის (ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები) გარდაცვალება, აგრეთვე სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებანი.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 27. გარდამავალი დებულებანი

1. 2018 წლის 1 ივნისიდან, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზერვში მყოფი პირები ჩაირიცხებიან ამ კანონით გათვალისწინებულ სამობილიზაციო რეზერვში.

2. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით აღრიცხული სამობილიზაციო რეზერვისტების ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნულ ელექტრონული მართვის სისტემაში აღრიცხვა განხორციელდეს 2020 წლის პირველი ივნისიდან.

3. საქართველოს მთავრობამ:

ა) 2018 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს ამ კანონის მე-18 მუხლით და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები;

ბ) 2020 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტითა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები.

4. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა 2018 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს:

ა) სამხედრო სარეზერვო სამსახურის აქტიურ რეზერვში მისაღები პირების შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

ბ) აქტიურ სარეზერვო სამსახურში მყოფი პირების გამოძახების წესი;

გ) სამხედრო სარეზერვო სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირთან გასაფორმებელი კონტრაქტის ფორმა;

დ) სამხედრო ძალების საჭიროებისათვის სამოქალაქო სპეციალობათა ნუსხა.

ე) სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირთა სპეციალური მომზადების პროგრამა;

ვ) სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა კატეგორიების განსაზღვრის და სამხედრო ნაწილებზე მათი წინასწარი მიწერის წესი.

5. საქართველოს მთვრობამ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით უზრუნველყონ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 28. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-26-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი-მე-10 მუხლები, მე-11 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, მე-12-23-ე მუხლები, 24-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები, აგრეთვე 25-ე და 26-ე მუხლები ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივნისიდან.

3. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, აგრეთვე, 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

4. 2018 წლის 1 ივნისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კანონი (სსმ. 49,29/12/2006).

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**